ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №58

ქ. ქუთაისი 5 დეკემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქ.ქუთაისის № 41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ დავით ნიშნიანიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ორგსერვისი'' (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხ.ნემსაძე სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ,,გამარტივებული შესყიდვით'' ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან საკანცელარიო ნივთების შესყიდვა (შემდგომში – საქონელი) CPV კოდები: 30100000 – 81,20 ლარი; 18500000 – 5,80 ლარი; 39200000 – 42,00 ლარი; 22800000 – 130,50 ლარი; ხელშეკრულების პირობებისა და დანართის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2 საკანცელარიო საქონლის მიწოდების მომსახურების შესყიდვა.

2 . ხელშეკრულების ღირებულება

2.1.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 259,50 (ორასორმოცდაცხრამეტი ლარი და 50 თეთრი)ლარი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: დირექტორის მ/შ დავით ნიშნიანიძე

4.2. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერ პირს წარმოადგენს: შპს „საქართველოს ფოსტის“ საწყობისა და აღრიცხვის განყოფილების უფროსი.

4.3. საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.ქუთაისი.რუსთაველის 127

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით

შემსყიდველი:

სსიპ ა.რაზმაძის სახელობის ქ.ქუთაისის
№41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა
მის: .ქუთაისი.რუსთაველის 127
საიდენტიფიკაციო კოდი: 212708202
ბანკი: სს“თიბისი“ბანკის ქუთაისის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ს/ს: GE26 TB03 6683 4080 1000 02
ტელ:(0431) 27 26 44

დირექტორის მ/შ; დავით ნიშნიანიძე

მიმწოდებელი:

შპს“ორგსერვისი”
მის: ქ. ქუთისი, ჭავჭავაძის 51/ 2ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 212693851
ბანკი: სს ,“პროკრედიტ ბანკი”
ბანკის კოდი: *ბ/კ MIBGGE22*
ს/ს: GE28 PC013 3600 1000 67722
ტელ: 032 204 11 00

დირექტორი: ხ. ნემსაძე

დანართი №1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია შემდეგი საკანცელარიო საქონელი:

#	საქონელი	რაოდ.	ერთ.	ფასი	თანხა:	
1	კლიპი deli 8565	200	ცალი	0,10	20,00	30197130
2	კლიპი შავი	60	ცალი	0,45	27,00	30197130
3	კლილპი შავი	60	ცალი	0,30	18,00	30197130
4	ლითონის ნაგვის ურნა	1	ცალი	5,80	5,80	18500000
5	კალენდარი მაგიდის ზამბარიანი	1	ცალი	3,50	3,50	30199792
6	წებო საკანცელარიო	1	ცალი	0,70	0,70	30192700
7	ქაღალდი საოფისე ფერადი	40	ცალი	0,30	12.00	30192700
8	საქაღალდე რეზინით პლასტ.	14	შეკვრა	2,60	36,40	22852100
9	საქაღალდე რეზინით პლასტ.	1	ცალი	2,60	2,60	22852000
10	საქაღალდე ფაილებით პლასტ. PAPIRUS optima 80 ფურც.	6	ცალი	9.65	57.90	22852000
11	საქაღალდე ფაილებით პლასტ. PAPIRUS ECONOMIX 80 ფურც.	4	ცალი	8.40	33,60	228/5200
12	სუვერინი თასი	1	ცალი	19,00	19,00	39200000
13	სუვერინი თასი	1	ცალი	23,00	23,00	39200000
	სულ:	**259,50**				

N 41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის

დირექტორის მ/შ: /დ. ნიშნიანიძე/

შ.პ.ს ორგსერვისი : /ხ. ნემსაძე/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ქუთაისი 5.12 2019 წელი

ვადასტურებთ სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქ. ქუთაისის N 41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლისათვის CPV კოდები: 30100000; 22800000; 39200000; 18500000; სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ჩვენი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქ. ქუთაისის

N 41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის

დირექტორის მ/შ: / დ. ნიშნიანიძე/

შ.პ.ს ორგსერვისი : /ხ. ნემსაძე/